თსუ ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსების განყოფილების უფროსი სპეციალისტის ასარჩევად შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით.

ა) ზურაბ გაიპარაშვილი - თსუ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი (კომისიის თავმჯდომარე);

ბ) თეიმურაზ ყანჩელი -თსუ ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსების განყოფილების გამგე (კომისიის წევრი)

გ)თამარ გიორგაძე - -თსუ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის მოადგილე, კომისიის წევრი;

დ) იზოლდა კიკნაძე - თსუ პერსონალის მართვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი კომისიის წევრი (კომისიის მდივანი).

თსუ ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსების განყოფილების უფროსი სპეციალისტის შესარჩევად კონკურსის ჩატარების წესი.

მუხლი 1. ზოგადი დებულება

წესის მიზანია: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსების განყოფილების უფროსი სპეციალისტის შერჩევა

მუხლი 2. საკონკურსო კომისიის ფუნქციები:

საკონკურსო ფუნქციებში შედის :

ა)საკონკურსო წესით სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსების განყოფილების უფროსი სპეციალისტის შერჩევა.

ბ) კომისიას, მუშაობისას საჭიროების შემთხვევაში კომპეტენტური აზრის დასაფიქსირებლად შეუძლია შესაბამისი ექსპერტის /ექსპერტების მოწვევა.

მუხლი 3. კონკურსანტის შეფასების წესი.

1.კომისია კონკურსანტის დაუსწრებლად აფასებს მისი მონაცემების შესაბამისობას ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსების განყოფილების უფროსი სპეციალისტის პოზიციის მოთხოვნებთან. აპლიკანტი, რომლის მიერ წარმოდგენილი საბუთებიც დააკმაყოფილებს საკონკურსო მოთხოვნებს, წინასწარი შეტყობინების საფუძველზე შესარჩევ კომისიასთან გაივლის გასაუბრებას.

2. აპლიკანტის მიერ გასაუბრებაზე გამოუცხადებლობა ან უარის თქმა წარმოადგენს აპლიკანტის კონკურსიდან მოხსნის საფუძველს.

3. საკონკურსო პროცედურების დასრულების შემდგომ საკონკურსო კომისია აფასებს კონკურსის შედეგებს და იღებს გადწყვეტილებას გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ. გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასებას და გასაუბრების შედეგებს, რაც აიასახება საკონკურსო კომისიის ოქმში/ოქმებში.

4.შერჩევის ეტაპების განხორციელების შემდგომ ტარდება კენჭისყრა და ბიბლიოთეკის ელექტრონილი რესურსების განყოფილების უფროსი სპეციალისტის პოზიციაზე შერჩეულად ითვლება ის აპლიკანტი, რომელიც მიიღებს სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის/ სხდომის თავმჯდომარის ხმა.

5.კომისია მიღებულ გადაწყვეტილებას აფორმებს ოქმის სახით, რომლის საფუძველზე შერჩეულ კანდიდატებთან გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება;

მუხლი 4. დავების გადაწყვეტა

კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული დავები წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.